

ქალთა მოხსენიების ტრადიცია ქართულ ჰაგიოგრაფიაში (IX-XII სს)

მერი ხიჯაკაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ჭყოიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს ბატონ გიორგი გვალისას
ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების
მაგისტრანტის მერი ხიჯაკაძის

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სამაგისტო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მითითებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მერი ხიჯაკაძე

2019

აბსტრაქტი

ნაშრომის მთავარი მიზანია, ქალის მოხსენიების ტრადიციის დადგენა (IX-XI), რომელსაც ვცდილობთ ქართული ჰაგიოგრაფიის იმ ნაწილის შესწავლით, რომელიც ასე დიდ როლს თამაშობდა IX –XI საუკუნეების ქართული კულტურის ჩამოყალიბებასა და რელიგიის განვითარებაში.

საინტერესო განსახილველია, თუ როგორ მივიდა საქართველო „ვეფისტყაოსნამდე“, სადაც ქალის კულტი ამაღლებულია, და პირველ ქალ მეფემდე, თამარამდე.

შუა საუკუნეებში ქალი, კაცთან მიმართებაში, მეტად დაჩაგრული ფიგურა იყო. ქართულ მახსოვრობაში, იქნება ეს ჰაგიოგრაფია, ისტორია, რელიგია თუ ზეპირსიტყვიერება, მთავარი ფიგურა ყოველთვის იყო კაცი, სადაც მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა ქალი. ქალი, რომლის მხოლოდ არსებობა დასახელებული, ზედმეტი დახასიათებისა და სახელის ხსენების გარეშე.

ნაშრომში განხილულია ქალთა მოხსენიების ტრადიცია ქართულ ჰაგიოგრაფიასა და საისტორიო მწერლობაში. დასახელებულია თითქმის ყველა ქალი, რომელიც იხსენიება და მოყვანილია ის კონტექსტი, რის მიხედვითაც დაიმსახურეს მათ ხსენების უფლება.

საუბარია ქალთა სტატუსზე, რომელიც მათ უმეტეს შემთხვევაში ანიჭებდა პრივილეგიას, ყოფილიყო სხვათა მახსოვრობაში და დაესახელებინათ მემატთანთ.

ნაშრომში დაყოფილია მოხსენიების ტრადიციები. ცალ-ცალკე იხსენიებიან დედოფლები, დიდებული ქალები და უსტატუსო ქალები. დაზუსტებულია თუ რა განსხვავებაა თითოეულ მათგანს შორის. დასახელებულნი არიან ის ქალებიც რომელთა მოხსენიებისკენ ჰაგიოგრაფიისა თუ საისტორიო მწერლობის ავტორთ, უბიძგებს მათი მომავალი წმინდა ცხოვრება.

მოხმობილია IX – XI საუკუნეების ქართული ჰაგიოგრაფია და მასში არსებული თითქმის ყველა ქალი. განხილულია ის ფაქტიც, თუ ავტორმა რისთვის მოიყვანა ისინი ნაწარმოების ამა თუ იმ ნაწილში. შესაბამისად ხაზის აქვს გასმული, წყაროთა ნამდვილობას, თუ იხსენიებიან აღნიშნული ქალები სხვა წყაროებშიც და მოხსენიების შემთხვევაში კონტექსტი თუ ემთხვევა ერთმანეთს.

შესწავლილია ქართულ საისტორიო მწერლობაში ქალთა მოხსენიების ტრადიციაც. იმ ქალთა შესახებაცაა საუბარი, რომელიც არ მოუხსენებიათ, თუმცა ფაქტია რომ არსებობდნენ.

ასახულია წმინდანთა წარმომავლობა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მშობელთა საკითხი, თუ რატომ არ იხსენიებიან დედები, მოხსენიების შემთხვევაში რატომ არაა მათი სახელები და სახელების არსებობის შემთხვევაში, რისთვის გახდა მათი დასახელება საჭირო.

შედარებისთვის მოხმობილია ბიზანტიელი და სომეხი მემატიანენი, რომლებიც აღწერდნენ IX-XI საუკუნეების ბერძნულ ისტორიას და გადაეკვეთნენ ქართულ წყაროებსაც. მოხმობილია მათ ნაწარმოებებში დასახელებული ქართველი ქალები, თუ წმინდანები და შედარებულია ქართულ საისტორიო/ჰაგიოგრაფიულ მასალებს, თუ რა სხვაობას ვაწყდებით ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

საბლოო ჯამში ჩამოყალიბდა გარკვეული სახის დასკვნა, რომ თითოეული ქალის მოხსენიება, იგულისხმება ქართული ჰაგიოგრაფია, დამოკიდებული იყო მის ღვაწლზე ქრისტიანული სარწმუნოებისადმი. ასევე მოხსენიებულნი არიან მხოლოდ სტატუსის მქონე ქალები. საისტორიო მწერლობაც მოხლოდ დედოფლებსა და სამეფო ოჯახის მანდილოსნებზე გვესაუბრება, თუმცა ნაწილ შემთხვევაში მათ სახელებს არ იხსენიებს, ან საერთოდაც მათ არსებობას მალავს.

მთავარი საძიებო სიტყვებია: ქალთა მოხსენიება ქართულ ჰაგიოგრაფიაში, ქალები შუა საუკუნეებში, ქართველი ქალის ფენომენი, ქართველი დედოფლები, ქალები გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, ქალები გიორგი მთაწმინდელისა და იონესა და ექვთიმეს ცხოვრებებში.

Abstract

The main subject of this thesis is to research the tradition of mentioning women in IX-XI century.

We are trying to achieve this aim by studying Georgian hagiography, which played an important role in developing of Georgian culture and religion in IX-XI century.

When we discuss this thesis, it's important to mention a well known poem The Knight in the Panther's Skin. It's a great source of information to discussing the role of medieval women in social life.

In Middle ages there is the tendency of decrease the role of women in social life and the limelight is on the men.

In the literature of hagiography, history and religion (IX-XI century) the main role player were the men.

In this thesis we discussed the tradition of women's role in the literature of Georgian hagiography and history. We discussed almost every women, who were mentioned in this context.

We separately discussed women with their background, for example women from royal family and women without status.

To validate our thesis we compare Armenian, Byzantinen history literature source, which describes the history of Georgia in IX-XI century.

In conclusion, the women who were mentioned in hagiography, history literature were either connected with the context of religion or they were members of Royal family.